საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 14194/01
30/12/2021

14194-01-2-202112301720

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 10 დეკემბრის N 2-08/20344 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, მდ. რიკოთულას (N3 უბანი) ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებას და გაცნობებთ შემდეგს:

- სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნაპირსამაგრი სამუშაოების დასრულება იგეგმება 2022 წლის მარტში, ასევე განცხადებაში მითითებულია, რომ ნაპირსამაგრი სამუშაოები განხორციელდება მდინარე რიკოთულას წყალმცირობის პერიოდში. მდინარე რიკოთულას ჰიდროლოგიური რეჟიმის გათვალისწინებით (რაც ასევე წარმოდგენილია სკრინინგის განცხადებაში), მდინარეს წყალმცირობა ახასიათებს ზაფხულის პერიოდში, ხოლო წყალუხვობა გაზაფხულის პერიოდში, აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების პერიოდი არ ემთხვევა მდინარის წყალმცირობის რეჟიმს. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია მშენებლობაში გამოსაყენებელი ტექნიკისა (რაოდენობისა და ტიპების მითითებით) და სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობის შესახებ;
- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დასაზუსტებელია, თუ სად დამზადდება ბეტონის რა მანძილზე მოხდება მისი ტრანსპორტირება;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებული არ არის ინფორმაცია ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს

მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, გადამუშავებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე